საგრანტო ქულის გამოთვლის წესი

თითოეული კომპონენტისათვის (ანალოგიები, წინადადების შევსება, ლოგიკა, წაკითხული ტექსტის გააზრება, რაოდენობრივი შედარება, ამოცანები, მონაცემთა ანალიზი) გამოითვლება ნორმირებული ქულა. გამოსაცდელის ნორმირებული ქულა არის მოცემულ კომპონენტში მიღებული ქულის შეფარდება ამავე კომპონენტის მაქსიმალურ ქულასთან. საგრანტო ქულა კი არის ყველა კომპონენტში მიღებული ნორმირებული ქულების ჯამის ნამრავლი 24024-ზე (ნორმირებული ქულების ჯამი მრავლდება 24024-ზე იმისთვის, რომ საგრანტო ქულა აღმოჩნდეს მთელი რიცხვი).

ვთქვათ, გამოსაცდელმა მიიღო ქულები:

ანალოგიებში - A_1 (12- დან)

წინადადების შევსებაში- A_2 (7- დან)

ლოგიკაში -A_3 (8-დან)

წაკითხული ტექსტის გააზრებაში -A_4 (13- დან)

რაოდენობრივ შედარებაში -A_5 (12-დან)

მონაცემთა ანალიზში -A_6 (6-დან)

ამოცანებში -A_7 (22-დან)

მაშინ ნორმირებული ქულები იქნება:

ანალოგიებში -$A_1/12$

წინადადების შევსებაში- $A_2/7$

ლოგიკაში -$A_3/8$

წაკითხული ტექსტის გააზრებაში -$A_4/13$

რაოდენობრივ შედარებაში -$A_5/12$

მონაცემთა ანალიზში -$A_6/6$

ამოცანებში -$A_7/22$

ხოლო გამოსაცდელი საგრანტო ქულა გამოითვლება ფორმულით:

$$24024(A_1/12+A_2/7+A_3/8+A_4/13+A_5/12+A_6/6+A_7/22)=2002A_1+3432A_2+3003A_3+1848A_4+2002A_5+4004A_6+1092A_7$$

მაქსიმალური ნორმირებული ქულა 1-ის ტოლია. შესაბამისად მაქსიმალური საგრანტო ქულა, რომელიც მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ გამოსაცდელი ყველა კომპონენტში მაქსიმალურ ქულას მიიღებს არის 168168.